

## განმარტებითი ბარათი

### „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზი განპირობებულია „არასაპატიმრო სახჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტიდან.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია არასაპატიმრო სახჯელთა აღსრულების და პრობაციის სფეროში არსებული საზღვარგარეთ გახვლისათვის დაწესებული პრობაციის მოსაკრებლის გაუქმება.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით უქმდება საზღვარგარეთ გახვლისათვის დაწესებული პრობაციის მოსაკრებელი. კერძოდ, კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნა, რომელიც ითვალისწინებს პრობაციის მოსაკრებელს სახელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის პრობაციის მოსაკრებელი უქმდება.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილის ცვლილებებს.

##### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებით მსჯავრდებულებს დაკისრებათ სახლვარგარეთ გამგზავრებისათვის საფასურის გადახდა.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი ითვალისწინებს სახლვარგარეთ გამგზავრებისათვის პრობაციის მოსაკრებლის გაუქმლებას და მის ნაცვლად საფასურის შემოღებას, რომელიც ჩაირიცხება პრობაციის ეროვნული სამსახურის ანგარიშზე.

ვ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

ვ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

ვ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

ვ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეუნიქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

— საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

— საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი